კვირა, 9 აპრილი 1917 წ.

[რ]ედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკი

№ 15

მ ა თ რ ა ხ ი 1917

შინაარსი. საიდუმლო—ეშმაკი. ფილსიფიკაცია—**მოჩიელი.** პატარა ფელეტონი—**თარაში.** ძღვნათ ეურნალისტებს—d. **შარადა**—**უჩინარი.** მოქალაქენო—**მითრახოხანი.** საალდგომო მილოცვები—**შექანჯალებული.** წერილი ეშმაკისათვის—**ჩვანლუპე.** მესტვირული—**განჯის კარელი.** ვინც ამ ოშია—**ჩრჩილი.**

კარიკატურები. სარკესთან. პეტროგრადში. ძველი და ახალი. ყარსის წყალსადენი.

სარკესთან

მაინც საწყენათ ჩამრჩა გულში, რომ ახლა მე მხოლოდ ბ-ნი ნ. **რომანოვი-ლა ვარ.**

საიდუმლო

ასეთი შემთხვევა პირველი როდია,
აი, ეს ყმაწვილი,
(ანთიმოზ ბოდია),
არ იქნა, ჩემს გულში ვერ მოვაკალათე,
თუმც ბევრჯერ ჩავხიზნე
ნებსით, თუ ძალათე.
შეხედავ, მშვენებით მაისის ვარდია,
(აპოლონს თუ იცნობთ,
იმისი ფარდია).
შავი თმა აყრია, ვით ლომის ფაფარი,
(ქუდიც არ სჭირია
მას თავის საფარი).
ლამაზი თვალები (თუმც უბეწვრილები),
ალმასის მაგვარი
და მწყობრი კბილები
ამშვენებს მის სახეს სწორ-მოხაზულებით,
(იქ უშნოს ვერაფერს
ვერ ნახავ სრულებით).
მაგრამ, როს ვუყურებ ამ სახის მშვენებას,
მე ვხედავ მარტოდენ
გარეგნულ შენებას.
და ლამაზ ნილაბ ქვეშ თითქო სხვა ვინმე ზის
შემქმნელი მისდამი
უარყოფით მიზეზის.
მისი ხმა მქუხარე და ცეცხლთა მფრქვეველი
ყურშივე მრჩებიან
გულს მიუხწეველი
და სიტკბო საუბრის, შარბათთა ნაკადის,
არ ვიცი რატომ, და
სულამდე არ ჩადის.
მას ჩემსა წინაშე ცოდო არ მიუძღვის,
არცა თუ მსმენია
ავი რამ მასზე სხვის.
შემხვდება და მათრობს ქებით, თუ თავაზით
ნარკვევი სიტყვებით
სულ ლამაზ-ლამაზით.
მაგრამ ეს მოპყრობა გულს ეკლათ **ეგების**,
(არ ვიცი, ღმერთმანი,
გიჟი ვარ ეგების!)
მაშ რატომ არ მატკბობს მე მისი სტუმრობა,
იმისი კამათი,
იმისი ხუმრობა?
მაშ რისთვის მგონია ზე ანარეკალი
ყველა ეს, და მხვდება
გულს, ვითა ეკალი?
არ ვიცი. ვფიქრობ და ჯერაც ვერ მივმხდარვარ.
ამ გამოცანებით
მე კვლათ მდიდარ ვარ.

ეშმაკი.

—

P. S. ერთ მათგანს, ვისზედაც აი ამ ლექსსა ვსწერ,
გუშინ წინ შემთხვევით
მე თვალი შევასწარ:
ციხისკენ მიჰყავდათ ფეხ ანაჩქარები
და მცველთან მივიჭერ
გულ განამწარები.
ვიკითხე მიზეზი მე მისი ტყვეობის,
ვინც მუდამ ქადაგი
სჩნდა ფაქიზ ზნეობის.
და მესმა პასუხი გულ გამჩანაგები:
— გაჰყიდა იუდამ
ძმა, ამხანაგები...

ე—კი.

ფალსიფიკაცია

ვინ არ იცის, რომ მ. ლალიძის ქარხნის წყალმა თითქმის ყველა წყლები ჩაჩრდილა და თფილისის ბაზარზე გაბატონდა. პირველ ხანებში ეს წყლის ღირსებით აიხსნებოდა, შემდეგ კი ინერციის კანონით.

და აი დაიწყო წაბაძულობა. მყიდველთა შეცდომაში შესაყვანათ ლალიძის მოქიშპე ქარხნებმა დაიწყეს ეტიკეტების*) მიმსგავსება. განსაკუთრებით

*) ბოთლებზე მიკრულ ქაღალდს, რომელზედაც ფირმის სახელ წოდება, არის აღნიშნული „ეტიკეტი" ეწოდება.

მიუახლოვდა მას ვინმე. ლოლაძე. თუ ახლოს არ დაკვირდით ვერაფრით ვერ გაარჩევთ ვისი ქარხნისაა წყალი: ლალიძის, თუ ლოლაძის და მეც, პრინციპიალური მომხრე ლალიძის წყლისა არა ერთხელ შემიყვანა შეცდომაში.

მკითხველი იფიქრებს:

— ახირებული კაცია ეს მორიელი! ქვეყანა ინგრევა და ის ლალიძის წყალზე გვეგაასება-ო.

ეს საყვედური მართალი იქნებოდა, თუ ჩემს წერილს მიზნად მხოლოდ „ხილეული წყალის“ ფალსიფიკაცია დაესახა.

მე აზრათ მაქვს გამოვარკვიო თქვენს წინაშე, არა „ხილეულობის წყლისა“ არამედ **წმინდა წყლის** ფალსიფიკაცია, რომელიც მოიმოქმედა „საუკეთესო მოწინავეთა“ ქარხნის პატრონმა იოსებ იმედაშვილმა და მისმა ნოქარმა ივანე გომართელმა. ლალიძის წყლის ამბავი მხოლოდ ილიუსტრაციაა.

მკითხველ საზოგადოებას უკვე მოეხსენება, რომ საქართველოში გამოდის პარტიული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა“. დარწმუნებული ვარ მკითხველ საზოგადოებას ისიც მოეხსენება, რომ გაზეთი „ერთობა“ ყველა ქართულ გაზეთზე უფრო გავრცელებულია საქართველოში.

და აი პრესის ფალსიფიკატორი იოსებ იმედაშვილი რიღას ფალსიფიკატორი იქნებოდა, თუ ამ აშკარა, თვალსაჩინო საქმეს ვერ მიხვდებოდა. ის არც იმდენათ სულელია, რომ კომერციის ანკესი საჭირო ადგილას არ ჩააგდოს და თუ კი რისიმე დაჭერა შეიძლება არ დაიჭიროს. აქ კი დასაჭერია ორიოდ გულუბრიყვილო მკითხველი. აი ამ განზრახვით იოსებ იმედაშვილმაც გამოსცა გაზეთი „ერთობა“, მხოლოდ როგორც მოსალოდნელი იყო მიაკერა მას სიტყვა „სახალხო“.

რისთვის დასჭირდა ბ-ნ იოსებ იმედაშვილსა და მის ნოქარს ეს მეორე „ერთობა“, თუ კი ისინი მართლაც და ერთობის მომხრენი არიან და თუ მათ ამ სახელწოდებით ვისიმე შეცდომაში შეყვანა არა სურთ? სასაცილოა მათი საქმე, სამწუხარო რომ არ იყოს.

იოსებ იმედაშვილის პატივცემულ სახელს კარგა მოზრდილი შავი დაღი აზის ჯერ კიდევ პირველი დუმის არჩევნებიდან. რამდენათაც მკითხველ საზოგადოებას ახსოვს, ის არც ცდილა ამ დაღის ჩამორეცხას. იმ შავბნელი რეაქციის დროს, მიუხედავათ მისი „საუკეთესო მოწინავეების“, ბ-ნი იმედაშვილი ჩინებულათ იჯდა ორ სკამზე და ვერავითარი დაკვირვებული თვალი მასში სოციალ-დემოკრატის ნასახს ვერ აღმოაჩენდა. მაგრამ არიან ცხოველები, რომელნიც პირობის შესაფერათ იცვლიან ხოლმე ქერქს და ერთი ამგვართაგანი აღმოჩნდა ისიც.

დაეცხო რეაქცია და აი ი. იმედაშვილმაც უცებ ქერქი იცვალა. ის უკვე სოციალდემოკრატია, მაგრამ სოციალ დემოკრატ-ფალსიფიკატორი. მის გაზეთს აწერია:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია“.

ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი ხელმძღვანელი იოსებ იმედაშვილი!

განა წარმოგიდგენიათ, მკითხველნო, ამაზე უფრო სასაცილო რამ ამ რევოლიუციის დროს?!

„ქართული სოციალ-დემოკრატია“ და მისი უკეთესი წევრი იოსებ იმედაშვილი!

განა წარმოგიდგენიათ ამაზე მეტი შეურაცხყოფა ქართველი ერისა? იოსებ იმედაშვილს რო ჰკითხოთ, ის თავს დასდებს საქართველოსათვის. მერე თუ ეს ასეა, რათ შეურაცხყოფს იგი ქართველ ხალხს ასე, თითქო ქართულ სოციალ დემოკრატიას უთუოდ ფალსიფიკატორი და საეჭვო პიროვნება უნდა ედგეს სათავეში?

— ეს მას სისულელით მოსდისო! მიპასუხებს მკითხველი. ვეთანხმები, მაგრამ ამ ნოქარს იმედაშვილისას, პატივცემულ ექიმს და ჟურნალისტ ივანე გომართელს, რომელიც ამ თერთმეტი წლის განმავლობაში ხოლერიანსავით ერიდებოდა სოციალ-დემოკრატს, დღეს რამ აღუძრა მადა და სიყვარული მათდამი? ივანე გომართელს ხომ სისულელეს მტერიც ვერ დასწამებს! მაშ რათ ჩავარდა ეს კაცი ასეთ სასაცილო მდგომარეობაში, როგორშიაც დღეს მას ვხედავთ? რათ დასჭირდა მას იოსებ იმედაშვილის კუდათ ჩანჩალი და მოტყუებით თავისი აზრების ხალხში ვრცელება?

ამის შესახებ შემდეგ ნომერში.

მორიელი.

ჰატარა ფელეტონი

„ბუზი იყო თურმე მხოლოდ!„

ადრე რომ მდევი გვეგონა,
თურმე ერთ ფეხზე მდგარა...
ვ. რუხაძე. („ეშმაკის მათ.“)

Не поэтому ль короны
Такъ торжественно слетѣли?
(„Одес. Нов.“)

1.

— დედავ ჩემო! ხომ კი ხედავ
უკან-ყოფილ განსჯის დროსა!
დახე: მამის კუბოს ფიცრით
მე ამიგეს დევნის ჯავრი!!.
მუსვრის ქარ-ბუქს მიატანეს
წამებული ერის დროშა,
აყრილ ძვლებით ჩააქოლეს,
მიალეკეს სისხლის ღვარი!..

2.

დედა მიხვდა შვილის წადილს,
მის საშინელ ბედისწერას...
და მუხლებზე მოიკეცა
მწარე სიტყვით განგმირული.
შვილი მართლაც მიდიოდა...
ის სტოვებდა მშობლის კერას,
და განწირულ ბრძოლის ჰიმნებს
მიჰყობოდა მოხიბლული.

3.

ბრძოლის ველი მეხსა სცემდა,
ჭექა-გრგვინვის ხმით ტოკავდა;
ზღვის ბობოქარ ზვირთთა მთაზე
თრთოდა ცეცხლის ქარტეხილი.
რისხვით მთვრალი ბნელი ძალა
თავს არ ხრიდა, არ ზოგავდა,
და ჯოჯოხეთს მოუხმობდა
ბრძოლის ჟინით ატეხილი...

4.

ჰა, დღეს ნელა ჰქრება ალი...
და სასტიკი წყდება ბრძოლა...
აგერ გმირიც, ვინც ბოროტი
მტერი დასცა საბოლოოდ!..
ზიზღით სავსე სჭვრეტს აწ იგი
თუ ვინ იყო რომ ჩაჰქოლა;
სჭვრეტს და უკვირს, მაგრამ რაღა...
ბუზი იყო თურმე მხოლოდ...

თარაში.

---

* *
*

(ძღვნათ ლიტერატურის ზოგიერთ მსახურთ და მოყვარულთ)

გზაზე რომ შემხვდებოდა, გამილიმებდა, თვალები გაუბრწყინდებოდა. ეტყობოდა,—ჩემი დანახვა სასიამოთ ჰქონდა. მისმა ასეთმა თანაგრძნობამ ჩემი გულის სიმებსაც ჩვმოჰკრა, სატრფიალოთ მომართა. ერთ საღამოს უკან წამომეწია, ჩამიარა და... ცხვირ-სახოცი „გაუვარდა“. მსწრაფლ დავსწვდი, ავიღე და მივაწოდე.

— გმადლობთ, მითხრა მან და ოდნავ წამოწითლდა.

— ნუ სწუხდებით! პირიქით, მე ვარ დიდი მადლობელი, რომ თქვენი ცხვირ-სახოცის შეხების ღირსი გამხადეთ.

— სულაც არ მქონია სახეში!

— ალბათ ღვთის ნება იყო.

ასე გავიცანით ერთმანეთი.

მალე კარგი მეგობრები შევიქენით.

სახლში ვესტუმრე. მხიარულათ მიმიღო. ხელში „მერანის“ იმ დღინდელი ნუმერი ეჭირა.

— ვერ წარმოიდგენთ—რა სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს უკანასკნელ ლექსს!

— დამცინით, ქალბატონო?

— განა არ ვიცი, რომ თქვენ პოეტი ხართ? ძალიან მაწყენიეთ, რომ ამდენხანს ერთი ლექსი არ მიძღვენით. გულმოსული ვარ თქვენზე...

— პირველათ მესმის ჩემი პოეტობა!

23 მარტი ქ. პეტროგრადში.

დაკრძალვა რევოლიუციის მსხვერპლთა. მოედანზე მოსჩანს პატარა ჯგუფი, მათ შორის თავმჯდომარე დამკრძალველ კომისიისა ისიდორე რამიშვილი და ცნობილი რევოლიუციონერი ქალი ვერა ზასულიჩი.

— ახ, კაკოი ვი სკრომნი!..... მე სარწმუნო წყაროებიდან გაგებული მაქვს, რომ „ნ ი ს ლ ი“ ილიკო ჭიაფერაძის ფსევდონიმია.

— ხა, ხა, ხა!.. რათა გგონიათ, რომ ეგ ფსევდონიმი ჩემია და არა სხვა ვინმესი? ილიკო ჭიაფერაძე ხომ სხვაც შეიძლება იყოს?

დიდი მტკიცების შემდეგ, როგორც იყო, დავაჯერე, რომ მე პოეტობის არა მეცხო რა. ეწყინა.

იმ დღის შემდეგ ალმაცერათ დამიწყო ყურება. გზაზე რომ შემხვდებოდა აღარ იღიმებოდა, აღარც თვალები უბრწყინდებოდა, სალამს მაძლევდა, მაგრამ თავს ისე ზანტათ მიკრავდა, თითქოს დიდ რამეს მთავაზობდა. ჩემთან პირის-პირ შეყრასა და ლაპარაკს გაურბოდა.

თანდათან მშორდებოდა.

ვსწუხდი, ვშფოთავდი!

ინსტიქტიურათ მოვავლე კალამს ხელი და ხანგრძლივი ოფლის ღვრის შემდეგ დავსწერე ლექსი:

ჩემს სატრფოს!

(ძღვნათ თამარ მჩატაძის ასულს)

ლექსი რომ ვერ გიძღვენი,
იმან გაგაგულისა,
ჩემო კარგო? ჭირიმე
შენი წმინდა სულისა!
რომ მიყვარხარ, შენც იცი...
აღარ უნდა მტკიცება;
მომაკვდინებს, იცოდე,
შენგან ვარის ტკიცება.
ბროლის მკერდს რომ დაჰყვება
ძუძუებს შუა არე—

იგი მინდა რომ გახდეს
ჩემი ცხვირის სამარე.

გენაცვალე კისერში,
გენაცვალე ყველგანა...
არ მომისპო სიცოცხლე,
არ გამიყარო დანა!

ლექსი რომ ვერ გიძღვენი,
იმან გაგაგულისა,
ჩემო კარგო? ჭირიმე
შენი წმინდა სულისა!

გადავათვალერე, ჩავდე პაკეტში და გავუგზავნე. მეორე დღეს შორიდან გამიდიმა:

— უფსევდინიმოთ?!! მაგრამ არა უშავს... მე თითონ მოვაწერე და გავგზავნე.

— სად?!

— რედაქციაში. არც ახლა გამოტყდებით?

მუხლები კინაღამ მომოკეცა.

იმ დღეს აღარაფერი მიჭამია. საღამოს სიცხე მომცა; მთელი ღამე ბურანში გავატარე. ყურში ჩამესმოდა რედაქციაში მომუშავეთა სიცილ-ხარხარი, ჩემი ნაცოდვილევის წაკითხვით გამოწვეული. ხანდიხან რომ დამეძინებოდა, მაშინვე რედაქციაში დავიბადებოდი... აი—ჭაღარა რედაქტორი გულ-მოდგინეთ დასცქერის ჩემს ლექსს და ბუტბუტებს: „სწორეთ არ დავიჯერებდი, სახელი და გვარი რომ არ ეწეროს. „ნისლმა“ ასეთი სისულელე როგორ გამოგზავნა!!“

— ჩემი აზრით, ამბობს ერთი მომუშავეთანი, ეს ლექსი მგოსნის შესარცხვენათ არის ვიღაც გარეწარის მიერ შეთითხნილი.

— შეიძლება „ნისლისაც“ იყოს, შენიშნავს მეორე, მარცხი ვის არ მოუვა?

— ვისიც უნდა იყოს, გაშვება შეუძლებელია, ჩემთვის ნაწარმოების ღირსებას აქვს მნიშვნელობა და არა მის ავტორს, დარბაისლურათ სწყვეტს კითხვას რედაქტორი და ჩემს ლექსს სარედაქციო კალათში აგდებს.

შემსუბუქება არც მეორე დღეს მიგრძვნია, ხოლო მესამე დღეს,— არ გაგეცინოს მკითხველო,— ჩემს ნაწარმოებს მთელი საქართველო ჰკითხულობდა, და მე რაღა დამაღონებდა?

იმავე ნუმერში მოთავსებული იყო ახალგაზდა კრიტიკოსის სიკო შტერაძის კრიტიკული ესკიზი: „ევოლიუცია მგოსან „ნისლის“ შემოქმედებაში.“ სტატიას დართული ჰქონდა სახელდახელო „პოსტ-სკრიპტუმ“-ი:

„როგორც დავინახეთ, მიუხედავათ ღრმა ევოლიუციისა „ნისლის“ ბოლოდელ ლექსებსაც აქვთ ცოტაოდენი ნაკლი. ეს არ ითქმის დღევანდელ ნუმერში მოთავსებულ ლექსზე. ეს ნაწარმოები („ჩემს სატრფოს“) ყოველი მხრით უნაკლოა. აქ მთელი თავისი სიძლიერით შლის ფრთებს ნიჭიერი მგოსნის ლაღი შემოქმედება. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მესამე და მოთხე ტაეპი. მზგავს მარგალიტს ჩვენ ლიტერატურაში სანთლით ვერ იპოვნით. ვრცლათ ხსენებულ ლექსს ცალკე სტატიაში გავარჩევთ“.

ამის წაკითხვის შემდეგ ბრმაც კი დარწმუნდებოდა, რომ მე დიდი პოეტური ნიჭით ვიყავი დაჯილდოებული. თვალ-წინ გადამეშალა ია და ვარდებით მოფენილი ბრწყინვალე მომავალი. „ღმერთო ჩემო, ვამბობდი გულში, რას ვფიქრობდი და რა მოხდა! მარგალიტი ყოფილა, მე კი... მართალი უთქვამთ,— დიდი პოეტი ცუდი კრიტიკოსიაო. თამარ!.. აწ ჩემ თავს შენ აღარავინ დაგანებებს. ვერც მე დავდგები ერთისა და ორის მედოული, ვინაიდან ერთფეროვნება პოეტურ შემოქმედებას ჰკლავს... „მიგულვე აწ შენდა დაკარგულისათ“. მართალია ჩემსა და ქართულ ლიტერატურის წინაშე დიდი სამსახური მიგიძღვის, მაგრამ პატარა ჯილდო არც ის არის, რომ ჩემს ბიოგრაფიაში საპატიო ადგილი დაგეთმობა“.

ჩემს უსაზღვრო სიხარულს მხოლოდ ის გარემოება აყენებდა პატარა ჩრდილს, რომ ჩემი თხზულება სხვისი სახელით იყო დასტამბული. საჭროი იყო საქმის გამოსწორება. მეტი გზა არ იყო: უნდა მივსულიყავ რედაქტორთან და ყველაფერი გულახდილათ მეთქვა. მისი საშუალებით კრიტიკოსსაც ვნახავდი და... —„ნისლი“?? იმას რაღა პასუხს აძლევ? გამიელვა ამ დროს თავში.

„ნისლის“ წინაშე ჩემი დანაშაული მართლაც დიდი იყო. „ბოდიშს მოვიხდი, პატიებას ვსთხოვ!“ გავივლე გულში, და ეს ისეთ უებარ საშვალებათ მეჩვენა, რომ სიხარულისაგან მაღლა შევხტი.

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, რედაქციის კარები რომ შევაღე. ერთი ახალგაზრდა ძალზე ცხარობდა. აღელვება ისე დიდი იყო რომ ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია.

— რა ვუყოთ, რომ ჩემი გეგონათ?—ეუბნებოდა ხანში შესულ კაცს ახალგაზრდა,—ვისიც უნდა იყოს, ერთი ფასი აქვს! ჩემიც რომ ყოფილიყო, არ უნდა გაგეშვათ!

ამ დროს ოთახში ერთი წვერ-ულვაშ გაპარსული ყმაწვილი შემოვიდა.

— შენც, შენც რაღა ღმერთი გაგიწყრა?— მივარდა მას ახალგაზრდა.

— რაშია საქმე?

— იცი რა მიყავ?

შემდეგი ლაპარაკიდან ნათლათ გამოირკვა, რომ საქმე ჩემს ლექსს შეეხებოდა. პოეტი ამტკიცებდა, რომ ის ყოვლათ უვარგისი ლექსი ბნელი მიზნით იყო გამოგზავნილი რედაქციაში. ვიღაცას კიდეც ასახელებდა:

— ის მიზამდა მაგას და უთუოდ უნდა მოვკლიო.

წვერ-ულვაშ გაპარსულ ყმაწვილს დაღრეჯილობა დაეტყო.

— რათ გაუშვი, კაცო!—უსაყვედურა მან რედაქტორს.

— რა ვიცოდი თუ ასე იყო საქმე?

— რომ არ ვარგოდა, ხომ დაინახე!

— თუ კაი დამნახავი ხარ, შენ თვითონ რათ არ დაინახე!—შეუტია რედაქტორმა,—მართალს თქ მათქმევინებ, სულ შენ გააფუჭე საქმე იმ ოხერი „პოსტ-სკრიპტუმით“. კრიტიკოსი ხარ რაღა!

— უკაცრავათ! მე შენს რედაქტორობას ვენდე. როგორ წარმოვიდგენდი, ისეთ სისულელეს თუ დასაბეჭდათ დაამზადებდი! მანამდის რომ მენახა, შესაფერ მსჯავრსაც დავდებდი და არც გაგაშვებინებდი!

— მოითმინეთ, ბატონებო, რა დროს ჩხუბია? — ჩაერია ლაპარაკში პოეტი,—წამხდარი საქმე როგორმე უნდა გამოვაკეთოთ და არა...

ველარ დავდექი, გამოვიპარე.

მესამე დღის ნუმერში გაზეთის თვალსაჩინო ადგილზე მსხვილი ასოებით ეწერა: „შეცდომის გასწორება: ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნუმერში მოთავსებულ ლექსს „ჩემს სატრფოს“ შეცდომით მოწერილი აქვს „ნისლი“, უნდა იყოს: „ისლი“.

იმავ ნუმერში ბ. შტერაძის წერილი თავდება შემდეგი სიტყვებით: „ეს არ ითქმის დღევანდელ ნუმერში მოთავსებულ ლექსზე. ეს ნაწარმოები („ჩემს სატრფოს“) ყოველი მხრით უნაკლოა“ და სხვ. უნდა იყოს: ეს არ ითქმის ხუთშაბათის ნუმერში მოთავსებულ ლექსზე ეს ნაწარმოები („ჩემი სატრფო“) ყოველი მხრით უნაკლოა და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. „ისლის“ ლექსი ბრმა შემოხვევით გაგვეპარა, რისთვისაც დიდ ბოდიშს ვიხდით, როგორც „ნისლის“, ისე მკითხველ საზოგადოების წინაშე“.

წავიკითხე და... გამეცინა, მწარეთ გამეცინა.

d.



ძველი ია

წამების ბოძზედა განაკრავს
სტანჯავდენ ბნელეთის ქაჯები

ახალი რუსეთი



დიდების კვარცხლბეკზე მდგომარეს
უდგანან გვერდთ პირმშო ვაჟები.

შარადა

ვაცხადებ ეხლავე,
რომ დღეს ეს შარადა
არ მინდა საკბენად,
სხვათ გასამწარადა...
პირიქით, მოვძებნოთ
ფაქიზი სიტყვები
და ამო სასმენლად
ავკინძოთ რითმები!..

—

რა ხმაურს იძლევა
პატარა მდინარე,
მთით დანაქანები
ქვით ქვაზე მდინარე?
სიტყვა ეს ლამაზი
შვიდს ანბანს შეიცავს;
ჩვენ ორი გვჭირია,
რაც უზის სიტყვის თავს.

—

ერმა სული, გული
მითი აიყვავოს;
რა დაჭკარგოს იგი—
თვითაც აღიგავოს!..
სამი ასო არის
მისი საძირკველი,
(წინა ორი გვინდა,
სხვას მიუშოთ ხელი).

—

ჩინურსა აქებენ
ამ დასაყრდნობელსა;
შორე გადაჭიმულს
მაღალსა და სქელსა.
სამი მარცვლისაგან
შესდგება სახელი,
შვათა არ გვჭირია,
ორის ვართ მნახველი.

—

დასრულდა შარადა
(იქნება სხარტულად
ვერ შევძელ აწერა
და დარჩა ის რთულად!)

ეცადეთ, ახსენით,
სიფრთხილით ნაშენი,
ის ჩვენი მოძმეა...
თან მათი მაშვენი.

უჩინარი.

მოქალაქენო!

(ჩემი მოწოდება)

ქრისტე აღდგა! გიხაროდეთ,
აღსდგა ჩვენი მაცხოვარი
და კვლავ რომ არ დასამარდეს
აი, რა მაქვს სათხოვარი:
„უკუ ვაგდოთ კინკლაობა,
რომ საერთოთ გველის შიში,
და ჯერ ახალ საქმის მტრებთან
გავასწოროთ ანგარიში.

—

ჩვენი გზები ჯერჯერობით
საკმაოთ არს არეული,
მტრები ერთობ ბლომათ გვყანან
შინ მჯდომი, თუ გარეული;
გავახშიროთ ლოზუნგები
სადღეისო (ტაქტიკური),
ფხიზლათ შევხდეთ განახლებულს
(ასი თვალი, ასი ყური).

—

პირველ ყოვლის საქმეს ხელი
და ვინც ვნახოთ უსაქმური,
გავიყვანოთ მოედანზე,
რომ სირცხვილის სცენ ალმური.
პური მშრომელს აღარ ყოფნის
რათ ვაჩინოთ მუქთა-ხორა?!.
(იგიც კმარა უშრომელათ
რაც რომ დღემდის ჩაიყორა).

—

შევამოკლოთ მეტი ხარჯი—
განცხრომა და ფუფუნება,

ამ ხანაში დროს ტარება
ბურჟუებსაც ემტყუნება.

—

ახლოს არვინ მივიკაროთ—
დაშაქრული, ტკბილეული,
ერთი ათათ რომ გაძვირდა
ეს დამპალი ხილეული!
განა იგი რომ არ ვჭამოთ
ისე თავს ვერ შევინახავთ?!
(რომ არავინ არ ვიყიდოთ
რას იზამენ მაშინ ვნახავთ).

—

ქრისტე აღსდგა, მეგობრებო,
აღსდგა ჩვენი მაცხოვარი,
მაგრამ ფეხზე რომ გამაგრდეს
ისმინეთ ეს სათხოვარი.
ყოველივე ჩვენი შრომა
ფუჭათ რომ არ დაიხარჯოს,
ძირს ქიშპობა (კინკლაობა!)
მაშ ერთობას გაუმარჯოს...

მათრახოსანი.

სააღდგომო მილოცვები.

დედავ, დედავ, დედავ, დედავ,
რა მომესწრო და რას ვხედავ..
კილფონა და ქაიხოსრო,
აღარ გიკვირს რა მოგვესწრო:
რუსეთი რო გადაბრუნდა...
რაცხა თავში აფათქუნდა.
სიხარულით ავქანჯალდი,
შორს ვისროლე თოხი, წალდი;
მინდა ცეკვა, ბუქნა, ხტომა,
და ბრწყინვალე ეს აღდგომა
ყველას უნდა მივულოცო...
მაცა, ოფლი მოვიხოცო.

დროებით მთავრობას.

იყავ მართლა დროებითი,
მოიწვიე მალე კრება,
დამფუძნებელს რო ეტყვიან,
სულყველას რო ენატრება.
იყავ მხნე და, ნუ გაქვთ შიში,
გაუწიე ანგარიში
დემოკრატებს, მშრომელ ხალხსა,
ქალო, დღეს ნუ მაცმევ თალხსა.

სახელმწიფო დუმას.

ლალე, ლალე, თარითურალალე,
გასაკვირი რამე ხარ
და დროს მოჩანჩალე,
უწინ ძველის, ეხლა ახლის
გამხდარხარ მოწყალე.

კარლო ჩხეიძეს.

მებრძოლი ვარ, ხალხის შვილი.
შენებრ სხვამ ვინ დაიკვეხოს,
იყავი მხნეთ, შეუპოვრათ,
მწუხარებამ არ გაგტეხოს.

აკაკი ჩხენკელს.

მხნე მებრძოლი, რისხვა მტერთა
ბედმა მასში შეაერთა.
გაუწიე ძმას უღელი,
კვლავ იცოცხლე ბევრი წელი.

ნოე ჟორდანიას.

მრავალ წლოვან, დიდი მუხა,
ბევრჯერ რისხვაც დაექუხა,
მაგრამ იგი, მედგრათ მდგარი,
ოდნავაც ვერ შეაწუხა.
ცა უწვიმებს ხშირად მეხსა,
მაგრამ ერთს ტოტს მონატეხსა—
ვერ უნახავს ვერსად თვალი;
მისთვის რაა ქარიშხალი!
თვალ საჩინოდ ველზე მდგომო,
რა მოგიძღვნა სააღდგომო,
იყავ მედგრათ, შეუპოვრათ,
რას დაგაკლებს ვაჟკაცს მტერი?
ვაი ბედშავს, წყალწაღებულს,
თუ შენ რისხვით შემოსწყერი,

მუშათა საბჭოს.

„ქრისტე აღსდგა!“ გამარჯობა!
როგორ გშვენის, ძმობამ, ბჭობა,
ახლა ყველამ შეგიყვარა,
რადგანაც ძველს გაეყარა.
სხვა რაღა ვსთქვა, ესეც კმარა.

ჯ ა რ ს.

ჯარსა სწრთვნიდენ, ასწავლიდენ—
ვინ არს შინაური მტერი,
მაგრამ იცნა მან ვინც იყო,
ააღინა ზურგზე მტვერი,
ერთობის რო დადგა ლხინი,
დაირაზმა „ნიკნი ჩინი“,
ძველ „მოყვარეს“ უქნა განი,
უძღვნა ციხე და საკანი.
დაირაზმეთ, ძმურათ, მწყობრათ,
მოვსპოთ მტერი შინაგანი,
მხნეთ ეკვეთეთ გარეულ მტრებს,
აღარ მისცეთ გასაქანი.

მ უ შ ე ბ ს.

მუშებო! დროშა აღმართეთ,
ვაშა, რაც რომ მტრებს დამართეთ,
კვლავ გაშალეთ დროშა ფართეთ.
აწ უფრო აგუგუნდებით,
აწ დაჯაჭვული არ ივლით
საზიზღარ ბორკილ-ხუნდებით,
მჯერა მოკვდებით, და ძველ დროს
აწ აღარ დაუბრუნდებით;
მაშ ქრისტე აღსდგა! გილოცავთ,
ყველას დაგკოცნი ძმურადა.
ხანდახან შევქანჯალდები,
თქვენც მიმიხვდებით თუ რადა!

ევგენი გეგეჭკორს.

ენა მჭრელი, საქმე წრფელი,
დინჯი ხარ და მხნე, გამრჯელი,
მაშ, განაგრძე შენებურად,
წინ წაგვიძეხ ვაჟკაცურად.

„სოციალ-დემოკრატს“.

გაგვიზაფხულდა, დადგა მარტია,
მოკვდა ას ორი მკაცრი სტატია,
„სოციალ-დემოკრატს“ არა აქვს შიში,
და მტრებზე მიაქვს მას მძლე იერიში.

ფედერალისტებს.

ქარის წისქვილებს რათ დაეჭიდეთ,
რატომ ვერ ხვდება ამას გრიგოლი,
რომ ძველ დროებას დაემტვრა რგოლი,
თუთუნს ჩიბუხით ვსწევ, ასდის ბოლი.

სპირიდონისტებს.

ქალო, მომე ღორის ქონი,
გუდები მაქვს გასაქონი,
როგორც ვხედავთ აწი მგონი,
ვერ წავიღოთ სპირიდონი,
სად ვიშოვნოთ ჩვენ ვაგონი,
ვსტირით ჯავრით დანაღონი.

ეშმაკს.

ჯოჯოხეთის გამგებელო,
რქებზე კოცნით შეგეხები,
იყავ მედგრათ! შავ ძალთათვის
დაამზადე მათრახები.

შექანჯალებული.



წერილი ეშმაკისადმი

(**გურული სცენა**).

ძამიავ, წყეულო და უხილავო ეშმაკო! თურმე კაცს რაც არ გაქვს, იმას უფრო აფასებ... რაცხა ქე მეგონა ჩემი თავი, თუ რამე გულში გამიფაჩუნდებოდა, იმას ქე დავჯღაბნიდი ქაღალდზე, მარა კაცის დახატვა აქამდე არ მომსვლია გოგრაში. ახლა ქე დამჭირდა, მარა ვერ მოგართვი, ველარ შევიძელი... დალახვროს ღმერთმა შენი სახელი, რაფერი ჩაფათრეთება იცი კაცების, რო დოუყუდებ ალაპის ჩაგასავით ცხვირს, რო დოუგძელებ ნიკაპს ნიჩაბსავით და ზედ წვერს ბალანჯეთ დოუტევ, კბილებს დოუხვანჭალებ და ფეხებს გოუფარჩხნი, უჰ, შენ კი გენაცვალე ყანყრატოში, მაგას რამე რავა ჯობია. ასე, სიტყვით ქე ვიტყვი, მარა, საქმით, ნურას, ვერ მოგართვი ჭიჭვი ფხალი. რამდენჯერ მევინდომე ამ ბოლო ხანს ვინმე-ვინმე ჩამეფათრეთებია, მარა ვერ მოგართვი,—რამდენჯერ ვინატრე, ერთი ოსკარ შტრინგათ მაქცია მეთქი, რაც უნდა ჩამოვკაკლო სიტყვით, ფათრეთი მაინც სხვაა, ხო და ერთ რამეს გეხვეწები შენ და ოსკარ შტრინგს და ამისრულებთ ამ თხოვნას,—ამას კი შეიძლებთ, თუ კი ხათრს მიზამთ, შუუძლებელი აფერი არ არის, თუ კი ფუტურისტებმა მზის დაორსულება შეიძლეს, მაგი რა დიდი საქმეა. ხო და საქმე ასეა:

მე მინდა ბათუმის ოლქის უჩიტლების კრება ჩამიფათრეთო. კრება სამ დღეს გაგრძელდა, მარა ფათრეთი ერთნერი გამუა. აბა მიყურე, მე დაგიკაკლავ, სიტყვიერათ ყველას დაგისურათებ და მერე შენ დააფათრეთე... უჩიტლები უნდა დააბრძანო ან ბიჭების, ან და ციცების ღემლაზიის ზალაში, აგენი ორივე ქე გინახავს შენ... ქალები მარცხნით დააბრძანე, კაცები უფრო მარჯვნით... წინ სიმპატიური პრეტსედატელი დააყენე, იგი ლმობიერია ყოველ მხრივ, თუ დეიხატება მომრიგებელ პრეტსედატელათ დახატე, რომელიც ორივე მოწინააღმდეგე მოკამათეს უთმობს... და საზოგადოთ „წესიერებას“ იცავსუწესო კრებაში. ქალებს, მანდილოსან უჩიტლებს არც ერთს პირი არ გოუკეთო, ზედმეტი იქნება, რადგანაც არ ხმარობდენ, იქნება არ დაშვენდეთ, მარა რას იზამ ბიძია! კაცების დიდ უმრავლესობასაც არ უნდა პირი, და ამისთვის არც ულვაშები იქნება მგონი საჭირო, ისე, შავი ბალანით გოუსწორე ცხვირს ქვევით ყველაფერი. ბ-ნი სახალხო ინსპეკტორი ყველას უკან დამიბრძანე, ეს თავდაბლობით მოსდიოდა. თუ ქვეშ წარწერა—ლოზუნგს ამ ნაირს გაუკეთებ კარგია: „უკანანი წინ“! რადგანაც ის თუმცა უკან იჯდა, მარა, არჩევნებში უჩიტლების წყალობით წინ იყო... უჩიტელების დიდი უმრავლესობა კენჭის ყრის დროს ასე გამოხატე,—მაგალითად სხვა კატიტატებთან ერთად ისპეხტორსაც ასახელებენ... მაშინ ითქმის ყველას ააწევიე ხელი კენჭის ყრის დროს... სახე ბევრს ინსპეკტორისკენ მუუბრუნე, შეახედე მისკენ მასზე ხელაწეულებს გააღიმებიე კოპლიმეტურათ...

არჩევნების დროს, თუ შეგიძლია დახატო, ნაცნობობა და მეგობრობის ხათრი გამოხატე ხმის მიმცემ უჩიტელებში. ერთი ახალგაზრდა, პატარე უჩიტელი ხშირად ორჭოფურად, პეტროვის დამცველად ალაპარაკებული დამიხატე, ბ-ნი არსენ წითლიძე შავათ დახატე, რადგანაც იგი იმ ღამეს უმოწყალოთ გააშავეს, და ორი უჩიტელი კი თეთრად, თუმცა რო შეხედო, არც ისე თეთრი არიან. საზოგადოთ უჩიტლების მოქმედებაში და სახეში სიფრთხილე, შიში, და გაუბედაობა გამოხატე კითხვების გარჩევაში... ამის გარდა კიდევ დახატე ქუთაისის ცოცხალი, მომქმედი მასწავლებელთა კავშირი, და მასზე მოწყვეტილი ბათუმის ოლქის მასწავლებელთა წყნარი, ჩუმი კავშირი, რომელიც ამა თუ იმ კითხვების გარჩევაზე არ იტკივებს თავს... ასეა, საქმე, ქე გითხარი ყოლიფერი, და აწი თუ ჩამიფათრეთებ, შენი იცი აბა, მაგიორს კი გასიამუნებ...

ჩვანდლუპუ.

მესტვირული.

ლიტანიაზე*).

ხელში ავიღე ქამანჩა,
(დაჩვეული ვარ ჭერასა),
ლიტანიაზე გეახელ
მოვყევ პირჯვრისა წერასა.
ეწყო პასკა და კვერცხები,
რა სჯობდა იმის ცქერასა?!
თვალი სულ იქით ეჭირა
იმ მსუნაგ ცამეტ წვერასა.
რა შევამჩნიე, მაშინვე
შევუდექ გუდის ბერასა,
ვსთქვი: თუ ეძგერა ამაებს,
ვიწყებ ჩემებურ მღერასა...
„ქრისტე აღსდგაო“—წარმოსთქვა,
ემზგავსა მშიერ ძერასა...
ჯიბიდან დანა იშვლიპა,
შეუდგა პასკის სერასა.
კვერცხებსაც უწყო გაყოფა,
ოთხიდან ორი მისია;
პასკასაც ბოჭავს მოზრდილებს,
(წვრილი რა საკადრისია!)
მდიდარს და ღარიბს არ არჩევს,
არცა კითხულობს ვისია;
რა ენაღვლება, თუ პატრონს
ემჩნევა დანაკლისია.
სულ ესე ნაღდათ ვაჭრობდა,
არ ჰყვარებია ნისია,
უფლის ბრძანებას არ უხვევს,
(ნამდვილი სინიდისია!
მეც ამისათვის გავხადე
მათრახის კუდის ღირსია.)
თან დიაკვანიც მოსდევდა
მოძღვარსა კუდის კუდზედა,
„ქრისტე აღსდგაო“, გალობდა
„მკვდრეთითო“, ყოველ წუთზედა.
რა შეატყობდა მონაბოჭს
უმძიმესია ფუთზედა,
ეკლესიაში შეჰქონდა,
წყობით აწყობდა ყუთზედა.
— მე ცალკე მომეც, რადგანაც
მას მღვდელი ჰყოფსო ხუთზედა,
თუ ვინმე შეეცილება,
საქმეს მისცემენ სუდზედა.
ასეთის ფანდით ცბიერი
სიხარბით ხალხს ატყუებდა,
ზოგსა სტაცებდა ძალითა,
ზოგსაც ხვეწნითა სტყუებდა.
ყველას ბოჭავდა მღვდელივით,
ისრე არავის სტუებდა...
ნეტავ სად მყვანდა ეშმაკი
მათრახს არ მოაწუებდა...
შიგნით დიაკვანს ხმა-მაღლა
ეჩხუბებოდა მოძღვარი:
შენ შენი ხვედრი ხომ მოგცეს,
რათა ხარ გაუმაძღარი...
კვალად ვსთქვი აი, ნეტავი
ჩემი ეშმაკი სად არი,
ამათ მათრახი უცხუნოს,
მით დაამშვიდოს საყდარი.

ან. განჯის-კარელი.

*) ეს ლექსი შარშან ადგომას უნდა დაბეჭდილიუო, თუ ჩვენი ცენზორი შარშან ამდროს ცოცხალი არ ყოფილიუო.

«ვინც ამ ომშია მოიგო ბევრი!»

ალვის ხესავით აყუდებული,
და გოგრა ფუყე, როგორაც ქვევრი,
მისჩერებია „დროგზე“ ფქვილებსა
და უკვირს: ნეტავ ვისია ესა?!.
ჰხედავს სადღაცა მიაქვთ შაქარი,
უკვირს; პატრონი ვინ, ან სად არი?!
— „ვინც ამ ომშია მოიგო ბევრი!“

—

ალვის ხესავით აყუდებული
და გოგრა ფუყე როგორაც ქვევრი,
ჰხედავს უთვალავ ქვრივებს და ობლებს...
ჰხედავს ნაღვლისგან ჩამომდნარ მშობლებს...
ჰხედავს უხელოს, უსინათლოსა
და ჰკვირობს, მათი ცოდვა ვინ ზღოსა?!
— ვინც ამ ომშია მოიგო ბევრი!“

ჩრ. ჩილი.

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი,
ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „განათლება“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

„ერთობა“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მ. სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლოს ქუჩა № 6.

ყარსის წყალსადენი

ბამვლელი. რას უცდით მოქალაქენო აქ?

მოქალაქე. მარიამობისთვიდან ველოდებით წყაროს უკვდავებისას, მაგრამ დღემდე ამაოდ.

რედაქტორი თ. ბოლქვაძე. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაშვილის შესახვ. № 1.